ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

სხდომის ჩატარების დრო:
17 ნოემბერი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი იობაშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი ჭიღვარია, ამირან კოპალეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, მამუკა სინაურიძე, კობა ფხაკაძე.

სულ: 6 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ვალერიან სილაგაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ჭეიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მირზა ხიდაშელი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **გიორგი სვანიძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის

წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა N85-ის სამხრეთით მდებარე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

4.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024-2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის N350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ განკარგულების პროექტს დანართის სახით აქვს წარმოდგენილი ჩამონათვალი, საპრივატიზებო ნუსხას ემატება ხუთი მიწის ნაკვეთი, რომლებიც ნუსხაში ჩასმის შემდგომ აისახება გეგმაშიც და მოხდება მათი აუქციონზე გატანა."

კომისიის წევრი ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „თუ შეიძლება რომ ჩამოგვითვალოთ."

ბატონი **ვ.სილაგაძე**: „ესენია: ნიკეას ქუჩა, II შესახვევი N36-ის მიმდებარედ, სულხან-საბას გამზირი N34ბ-ს სამხრეთით, ბუკიას ქუჩის მიკრორაიონი ნაკვეთი N2, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი N13-ის აღმოსავლეთით, სულხან საბას გამზირის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები."

საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **გ.ჭიღვარია:** „ღირებულებაც რომ გვითხრათ."

ბატონი **ვ.სილაგაძე**: „გეგმაში ეს ობიექტები შედის ნორმატიული ფასის მიხედვით, ნიკეას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის კვადრატულის ღირებულება შეადგენს 55 ლარს, ასევე 55 ლარია ღირს სულხან საბას გამზირზე არსებული 88 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის კვადრატულის ღირებულება, ბუკიას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის კვადრატული მეტრის ფასი შეადგენს 70 ლარს, მაგრამ ეს თითოეული ობიექტი შეფასებულია და აუქციონზე გადის არა ნორმატიული ფასის მიხედვით, არამედ სამხარაულის შეფასებიდან გამომდინარე და მოგეხსენებათ ეს ორი უკანასკნელი ერთმანეთს არ ედრება, სამხარაულის შეფასება აღემატება ნორმატიულ ფასს და აუქციონზე პრივატიზებაც ხდება სამხარაულის შეფასების შედეგად დადგენილი ფასით."

კომისიის წევრი **კ.ფხაკაძე**: „სამხარაულის ბიუროზე შესაფასებლად ახლა გაიგზავნება და თუ უკვე შეფასებულია, ამ ფასებით რატო არაა განსაზღვრული?"

ბატონი **ვ.სილაგაძე**: „ნუსხაში ობიექტების ღირებულება აუცილებლად შედის ნორმატიული ფასით, შემიძლია მოგაწოდოთ სამხარაულის შეფასებით დადგენილი ფასები თითოეულ მიწის ნაკვეთზე."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების

ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებს ემატება ერთი ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ფოთის ქუჩა N13გ-ში, 1150 კვ.მეტრის ფართობის, ეს კონკრეტული ნუსხაში უკვე იმყოფებოდა და ჩავამატეთ გეგმაშიც, არსებობს დაინტერესებული პირი და შემოსულია განცხადება.“

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა N85-ის სამხრეთით მდებარე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ ჩვენთან შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული ტერიტორია სჭირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, სავარაუდოდ ყაზარმის მშენებლობას გეგმავს. ტერიტორია არის საცურაო აუზის უკანა მხარეს.“

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა N85-ის სამხრეთით მდებარე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024-2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის N350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა **დავით ჭეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დ.ჭეიშვილმა** აქვე განმარტა: „გადავალ უშუალოდ ჩამონათვალზე, პირველი ესაა მდინარე ოღასკურას კალაპოტის რეაბილიტაცია, მეხუთე უბანი მოიცავს სკვერიდან მაღლაკის მიმართულებით ტერიტორიას, რჩება კიდევ ჭონქაძის მონაკვეთი, ფაქტობრივად რჩება თავი, ჩვენ გავდივართ ბოლოსკენ, რომელი ადგილებიც უფრო ავარიულია და უფრო იტბორება."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია**: „რაც რჩება გასაკეთებელი რა ბიუჯეტისაა დაახლოებით?"

ბატონი **დ.ჭეიშვილი:** „იგივე ღირებულების სამუშაოები რჩება გასაკეთებელი დაახლოებით 5 მილიონამდე ლარზეა საუბარი."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია**: „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია დამეთანხმებით და აუცილებლად დასასრულებელია, ეს პროექტი იცავს მთელს ბუხაიძეს და მიმდებარე ტერიტორიას დატბორვისგან, შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად."

ბატონი **დ.ჭეიშვილი: „**დანართის მეორე ნომერი არის მდინარე ოღასკურაზე საავტომობილო ხიდის მოწყობა, საუბარია ოთხ ხიდზე, აქედან ერთი უკვე კეთდება, რომელიც დიდთოვლობის დროს ჩაინგრა, მუნიციპალიტეტის მიმდებარედ და რომლის თითქმის 60% დასრულებულია."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია**: „თუ არის განსაზღვრული ხიდების მოაჯირების განათების თემა, იქვე სკვერიც ახლოსაა და დამერწმუნეთ მომგებიანი იქნება, თუ არაა განსაზღვრული ბიუჯეტი, იქნებ ვიფიქროთ ამაზე და მოვახდინოთ თანხების აკუმულირება, ევროპის ბევრ ქალაქში არის ეს გათვლა და დამერწმუნებით ულამაზესია."

ბატონი **დ.ჭეიშვილი: „**ნამდვილად დიდებული იქნება ბატონო გიორგი, ვფიქრობ დარჩება ეკონომია და ამ ეკონომიის ფარგლებში შესაძლებელია ამის ცალკე თავად შეტანა, ამ შემთხვევაში, ააიპ „სპეციალურ სერვისებს" არ დააწვება ტვირთად, კეთდება ამის გარდა კიდევ ხიდები და ყველა იქნება განათებით და რათქმაუნდა თავსებადობით არსებულ სკვერებთან,

შემდეგი ეს არის ე.წ. კიკვიძის სკვერის რეაბილიტაცია, პროექტი გვაქვს, იგეგმება სრული აღდგენა, ფილებიდან დაწყებული აღსადგენია ყველაფერი აღნიშნულ სკვერში."

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი**: „ძეგლის დემონტაჟს თუ აპირებთ?"

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „ჩვენი პროექტით გათვალისწინებული არ არის, თუმცა არსებული ძეგლის ზვიად გამსახურდიას ძეგლით ჩანაცვლებაზე იყო საუბარი, გამომდინარე იქიდან, რომ გამსახურდიას გამზირი ესაზღვრება, ბიუჯეტი მართალია არ არის გათვლილი, მაგრამ გაუთვალისწინებელი ხარჯებით შესაძლებელია ამის განხორციელებაც."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია:** „მოსახლეობის დიდ ნაწილს მოწონს არსებული ძეგლი და ამბობს, რომ ისტორიის ნაწილია, გამომდინარე აქედან, თუკი ეს დაიგეგმება აუცილებელი იქნება იქ მაცხოვრებელთა ინფორმირება."

ბატონი **დ.ჭეიშვილი**: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის და რიგი ოთახების რეაბილიტაცია, ასევე არქიტექტურის ფლიგელის რეაბილიტაცია."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია:** „ჩვენი ოთახების რეაბილიტაცია თუ შედის ამ პროექტში?"

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „ამასთან დაკავშირებით საუბარი გვქონდა ქალაქის მერთან და 10%-ის ფარგლებში, თქვენგან თანხის დამატებით, შესაძლებელია განხორციელდეს დაახლოებით 10 ოთახის რეაბილიტაცია/მოწესრიგება, რაც შეეხება სახურავს, სრულად რეაბილიტირდება."

ბატონი **დ.ჭეიშვილი**: „კიკვიძის ქუჩა N10-ის და N12-ის საყრდენი კედლების მშენებლობა, პროექტი გვაქვს."

ბატონი **მ.სინაურიძე**: „მე მაინტერესებს ვინ მუშაობს პროექტირებაზე, კერძოდ თუნდაც კედლის გამაგრების საკითხზე, საპასუხისმგებლო თემაა და კონსტრუქციულად როგორც იცით, სამოქალაქო მშენებლობის ნაწილი სულ სხვა ნაწილია ამ მშენებლობისგან განსხვავებით."

ბატონი **დ.ჭეიშვილი**: „პროექტირებას ახორციელებს გამოცდილების მქონე სუბიექტი."

ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ფორმულით ითვლება მთლიანად მოცულობა, რამდენი უნდა ჰქონდეს სამი წლის მანძილზე გაკეთებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რაც აღნიშნეთ თუ ვინ იყო კონსტრუქტორი, ვინ გააკეთა ანგარიშები, დათვლები და ა.შ. იქ ხელშეკრულება იტვირთება, კონკრეტული პირი, რომელსაც განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით უდასტურდება, რომ ნამდვილად გამოცდილი კონსტრუქტორია, საპროექტოში კონკრეტულად ვინ ხაზავს ამას მე ვერ ვამოწმებ, თუმცა საბოლოო ჯამში კონსტრუქციულ ექსპერტიზაზე როდესაც შედის, თუ რამე ხარვეზი არსებობს ის მაინც ასწორებინებს, რადგან კონსტრუქციულ პროექტებს, თუ არ აქვთ შესაბამისი აკრედიტაციის ექპერტიზა, არ ვიღებთ."

ბატონი **მ.სინაურიძე**: „აქ მთავარი თემა არის ის, რომ კონსტრუქტორთან ერთად მნიშვნელოვანია გეოლოგიური კვლევა, რომელიც უფრო რთული გასაკეთებელია, და კედელი ისეთი თემაა აუცილებლად გასათვალისწინებელია."

ბატონი **მ.ხიდაშელი:** „სადაც მექანიზმი ფიზიკურად უდგება, მინიმუმ 6 მეტრზე იჭრება, თუ გვხვდება სიმაგრე ვჩერდებით, არის ტერიტორიები, სადაც ეს მექანიზმი არ უდგება, მანდ კეთდება გეოფიზიკური კვლევები."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია:** „ტრანსპორტირება როგორ არის მოგვარებული, როგორ ხორციელდება გატანა-გამოტანა სამუშაო ობიექტზე?"

ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ყველაფერი შედის პროექტის ბიუჯეტში, როდესაც ვსაუბრობთ, რომ რაღაც მოსაწყობია, იქ ტრანსპორტის საკითხიც გათვალისწინებულია და ცალკე არ ვიხდით ფულს."

ბატონი **დ.ჭეიშვილი:** „შემდეგი ეს არის, ქალაქ ქუთაისში, მე-14 საჯარო სკოლის მიმდებარედ მინი სტადიონის მშენებლობა, პროექტი გვაქვს, სკოლა მდებარეობს ავტოქარხანაში ეკლესიასთან, ასევე ქალაქ ქუთაისში შერვაშიძის ქუჩაზე მაგისტრალური ღვარსადენის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დევნილების დასახლებასთან არსებული არხი, ამავე ლოკაციაზეა ტროტუარების და სანიაღვრე ქსელის მოწყობაც, რადგან რთული მდგომარეობაა, ცუდ ამინდში წყალში უწევს გავლა მოსახლეობას, ამ ეტაპზე ამათი პროექტები არ გვაქვს თუმცა პროექტირებას ექვემდებარება, გავაგრძელებ ჩამოთვლას, ზვიად გამსახურდიას გამზირი N19, 21, 23, 32, 44 მრავალსართულიანი ბინების ფასადების რეაბილიტაცია."

ბატონი **კ.ფხაკაძე**: „მინდა შევეხო ერთ პრობლემას, ქანთარიას ქუჩაზე მოსახლეობა იტბორება, გასაკეთებელია ღვარსადენები."

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „მოგახსენებთ, რომ ჩვენ წელს 40 მილიონს რასაც ველოდებით, იმის ფარგლებში, ველოდებით ობიექტების სიას, ვფიქრობთ რომ თითო მუნიციპალიტეტში გავთვალოთ დაახლოებით 2-3 მილიონამდე, ნაწილი ობიექტების სიები გვაქვს მაჟორიტარი დეპუტატებისაგან, აქ წარმოდგენილ სიაში რაც არ წერია არ ნიშნავს, რომ არ გაკეთდება, ჩვენ ადგილობრივში ფაქტობრივად 0 გვაქვს კაპიტალურში, ეს იგეგმება რეგიონალურიდან."

ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „აღნიშნულთან დაკავშირებით დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, როცა წარმოვადგენთ ყველა მაჟორიტარი ჩვენს საჭიროებებს, გადავხედავთ და გადავაფასებთ, ჯერ რომელიც წარმოდგენილ სიაში არ შედის, მეტი წილი იქითკენ მივმართოთ სახსრები, თქვენ დაორგანიზებაში დაგვეხმარეთ, თორემ ვფიქრობ პრიორიტეტები ჩვენი გადასაწყვეტია."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია:** „გასვლა და შესწავლა სჯობს, შემდეგ დავაჯამოთ, რა თანხის ფარგლებშია თითოეული მაჟორიტარის მიერ წარმოდგენილი საჭიროებები, თანაბრად სამართლიანად გადანაწილდეს გამოყოფილი თანხა და არ გამოვიდეს ისე, რომ რომელიმე სამაჟორიტარო ნაკლებად დაკმაყოფილდეს."

ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „კიდევ დავამატებ ერთს, რომ რა თქმა უნდა ყველა პროექტის, რომელიც შეძენილ და განხორციელებულ იქნება თანახმა ვარ და მივესალმები, მაგრამ ჩემი თხოვნა იქნება, რომ არ მოხდეს პროექტების შეძენა ჩვენს გარეშე, ჩაგვაყენეთ საქმის კურსში ჩვენც. წინა წლის გამოყოფილი 40 000 000 ლარიდან რამდენი დაიხარჯა თუ შეგიძლიათ მითხრათ?“

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „დაახლოებით 32,5 მილიონი, ზოგი პროექტი მიმდინარეა, ვნახავ ზუსტად და მოგაწოდებთ ინფორმაციას, მანამდე ჩავშლი ჩამონათვალს, გზების კაპიტალური-განსაზღვრული იყო 6 750 000 ლარი (აქედან ეკონომიაა 355 479 მლ, დანარჩენი ყველა დაკონტრაქტებულია), სანიაღვრე სისტემებში გვქონდა 2 080 000 გამოყოფილი და ამ წუთის მდგომარეობით თავისუფალია 541 000, საყრდენ და დამცავ კედლებში გამოყოფილი იყო მილიონნახევარი ლარი და ამ წუთში თავისუფალია 81000 ლარი, ფასადებში იყო 10500000 და ახლა თავისუფალია 761000, სკვერებში გათვალისწინებული იყო 2 780 000, თავისუფალი რესურსი თითქმის არ არის 2000 ლარს თუ არ ჩავთვლით, სპორტულ გამაჯანსაღებელში გვქონდა 4300 000 ლარი და თავისუფალი რესურსია სადღაც 600 000-მდე, იმიტომ რომ ტრენაჟორები არ შედგა.“

ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „აქ ძალიან ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს, ვფიქრობ უმჯობესია ცალკე მომაწოდო სახელობითი ჩამონათვალი, რაზე რა თანხა გადანაწილდა (ეს იქნება ასფალტი, დიზაინი თუ სხვა).“

ბატონი **მ.ხიდაშელი**: ჩვენ შევთანხმდით, რომ მოსული სიით, გადანაწილების მიზნით ვბრუნდებით თქვენთან და რაც პლიუსდება, იმაზე იწყება კაპიტალური სამუშაოები.“

კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გ.იობაშვილი:** „შევეხები ლიფტების თემას, რამდენი ლიფტის გაკეთებაა გათვლილი წელს?“

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „წელს 30 ლიფტზეა საუბარი, გაისად იმ 40 მილიონიდან კიდევ შესაძლებელია დაიგეგმოს დამატებით.“

ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „ერთხელ კიდევ შევეხები ამ საკითხს, ჩვენ ბევრი ვიარეთ, ერთად ვათანხმეთ სარეაბილიტაციო გზები, საყრდენი კედლები თუ ფასადები, კი მართალია თანხები გადანაწილდა, მაგრამ წავიდა სხვა მიმართულებით, ჩვენი თხოვნაა პირველ რიგში მოგვაწოდეთ პროექტების ჩამონათვალი, გაგვაგებინეთ წინასწარ პროექტების შესყიდვამდე და ვიყოთ საქმის კურსში და გადავანაწილოთ პრიორიტეტები სწორად.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მარეხი ნიჟარაძე, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, თეკლა მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024-2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის N350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
გიორგი იობაშვილი